

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №3

06/07/2021 წელი

ქ. ბათუმი
14⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე მარიამ გუგუნავა და ირაკლი გვარამია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულ კომისიის წევრს, ირაკლი გვარამიას მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრად არჩევა და წარმატებული საქმიანობა უსურვა, საარჩევნო ადმინისტრაციაში, ასევე სხდომის თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ყოფილ მდივანს, სოფიო კახაძეს იმ ნაყოფიერი თანამშრომლობისა და საქმიანობისთვის, რომელიც მან საარჩევნო ადმინისტრაციის საკეთილდღეოდ გასწია, რის შემდეგაც კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

2. სხვადასხვა.

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, კომისიის წევრთაგან უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს კომისიის მდივანს, რის შემდეგაც საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, კომისიას სთხოვა არანაკლებ კომისიის 2 წევრს დაესახელებინა კომისიის მდივნის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს:

მარიამ გუგუნავამ, ნოდარ მელაძემ და ირაკლი გვარჯალაძემ.

მარიამ გუგუნავამ, ნოდარ მელაძემ და ირაკლი გვარჯალაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე დაასახელეს ტარიელ გოგიტიძის კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის

ვაკანტურ თანამდებობაზე, ტარიელ გოგიტიძის
კანდიდატურის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

კენჭისყრის შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად აირჩა – ტარიელ გოგიტიძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. არჩეული იქნეს ტარიელ გოგიტიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, ტარიელ გოგიტიძეს, მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად არჩევა და მას წარმატებული საქმიანობა უსურვა.

უსკოს მდივანმა, ტარიელ გოგიტიძემ, მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე მისი კანდიდატურის წარდგენისთვის, მხარდაჭერისა და ნდობის გამოცხადებისთვის.

2. სხვადასხვა.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივანი

ტარიელ გოგიტიძე